საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.11.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 089/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი N..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1 **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 06 ნოემბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 02 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

1.2 ნ. ბ.-ს განცხადებით, 2017 წლის 23 ოქტომბერს დილის 10:00 საათზე იგი თბილისის საქალაქო სასამართლოში ახლდა თავის მეგობარ მ. ფ.-ს სამოქალაქო საქმის განხილვაზე. სასამართლო სხდომის დაწყებამდე ნ. ბ. შეხვდა მ. ფ.-ს ძმის შვილს ი. ფ.-ს, რომელსაც თან ახლდა მისი ადვოკატი ი. ბ.. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ბ. უხეშად ჩაერია ნ. ბ.-ს და ი. ფ.-ს საუბარში

და გაურკვეველი მიზეზის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნ. ბ.-ს. საჩივრის ავტორმა მოუწოდა ადვოკატს, რომ ასეთი საქციელი მას არ შეეფერებოდა, რაზეც ადვოკატმა ი. ბ.-მ უპასუხა - ,,წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან". ეს ინციდენტი მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის მეორე სართულზე, რისი მომსწრენიც იყვნენ: მ. ფ., ი. ფ. და იქ მყოფი სხვა ადამიანები. საჩივრის ავტორმა სასამართლოს თანამშრომელ ქ. მ.-ს მიმართა დაეფიქსირებინა ადვოკატის მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

2 მოწმის მ. ფ.-ს ახსნა-განმარტება

2.1 მ. ფ.-მ 2018 წლის 02 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ი. ბ. იცავდა მ. ფ.-ს ძმისშვილის ი. ფ.-ს ინტერესებს, რომელიც სამოქალაქო დავაში წარმოადგენდა მ. ფ.-ს პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს.

2.2 მოწმის განმარტებით, 2017 წლის 23 ოქტომბერს იგი ნ. ბ.-სთან ერთად იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში, სადაც ის შეხვდა თავის ძმისშვილს - ი. ფ.-ს, რომელსაც თან ახლდა ადვოკატი ი. ბ. . მოწმის განცხადების თანახმად, ი. ფ.-მ რაღაც უთხრა ადვოკატს მ. ფ.-ს ნ. ბ.-ს შესახებ, რის შემდეგაც ადვოკატმა ი. ბ.-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნ. ბ.-ს გინების ფორმით (,,წადი შენი..“). ქ-ნ მ. ფ.-ს განმარტებით, ნ. ბ. გაემართა იქვე მდგომ სასამართლოს თანამშრომელთან, რათა ადვოკატის არაეთიკური ქცევა დაეფიქსირებინა და შესაბამისი რეაგირება მიეღო, სასამართლოს თანამშრომელმა ნ. ბ.-ს განუმარტა, რომ მომხდარის შესახებ წერილობითი განცხადება წარმოედგინა. ამის შემდეგ დაიწყო სასამართლო სხდომა, რომელზეც ადვოკატმა ი. ბ.-მ ნ. ბ.-ს მიმართა: ,,ახლა ალბათ უმუშევარი დავრჩები..“. სასამართლოს სხდომის შემდეგ ნ. ბ.-მ წერილობით მიმართა სასამართლოს და ეთიკის კომისიას მომხდარი ინციდენტის შესახებ.

3 ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ი. ბ.-მ 2018 წლის 15 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება მის მიმართ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტის ი. ფ.-ს მოწინააღმდეგე მხარე სამოქალაქო დავაში არის კლიენტის ნათესავი მ. ფ. და საქმის განხილვას ყოველთვის ახლავს მხარეთა შორის შელაპარაკება. ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის ბოლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში კლიენტთან ერთად შეხვდა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც თან ახლდა ნ. ბ.. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესის დაწყებამდე მხარეები შეკამათდნენ, თუმცა ადვოკატის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან გინების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ადვოკატის განმარტებით, იგი ესაუბრებოდა მ. ფ.-ს, რა დროსაც საუბარში ჩაერთო ნ. ბ., რაზეც ადვოკატმა მიმართა მას, რომ განსახილველი საკითხი მას არ ეხებოდა. ბ-ნ ი. ბ.-ს განმარტებით, ნ. ბ.-ს გაღიზიანება მისმა ფრაზამ გამოიწვია, რაზეც მან განაცხადა, რომ სასამართლოს კამერების ჩანაწერებს ამოიღებდა და შემდეგ რეაგირებისთვის სასამართლოს სტაჟიორს მიმართა.

3.2 ადვოკატ ი. ბ.-ს განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარესთან მ. ფ.-თან კონფლიქტური სიტუაცია ადრეც ჰქონია. ადვოკატის განმარტებით, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მ. ფ.-მ მოსამართლის თანდასწრებით მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც ადვოკატმა თავი იგრძნო აფექტურ მდგომარეობაში. ადვოკატის განმარტებით, მ. ფ.-მ მაშინვე მოუხადა მას ბოდიში.

ადვოკატ ი. ბ.-მ ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ მან, სასამართლო სხდომის შემდეგ, სასამართლოს შენობაში, მ. ფ.-ს გინების ფორმით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ადვოკატი შეურიგდა მ. ფ.-ს.

3.3 ადვოკატ ი. ბ.-ს განცხადებით, მას ნ. ბ.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია თუმცა, რომც მიეყენებინა მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ვინაიდან, საჩივრის ავტორი არც მისი კლიენტი და არც მოწინააღმდეგე მხარე არ არის, მისი საჩივრის განხილვა ეთიკის კომისიას არ ექვემდებარება. ადვოკატის აზრით, თუნდაც ნ. ბ. მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ყოფილიყო, ეთიკის კომისია მაინც არ იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა საჩივარი, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება შესაძლოა იყოს ადვოკატის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რათა წყობილებიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგე მხარე და ამით მიიღოს კლიენტისთვის სასურველი შედეგი. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ ქმედებას კანონმდებლობა არ კრძალავს და ადვოკატები ხშირად მიმართავენ ასეთ ტაქტიკას.

4 მოწმის ი. ფ.-ს ახსნა-განმარტება

4.1 ი. ფ.-მ 2018 წლის 02 ივლისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ი. ფ. არის მისი მეგობარი და ასევე მისი ინტერესების დამცველი მ. ფ.-თან სასამართლო დავაში. ნ. ბ. დაინტერესებული პირია სადავო საგანთან მიმართებით, რადგან მეზობელია და სამჯერ ითხოვა სადავო ოთახის მიყიდვა.

4.2 მოწმის განმარტებით, ის და ადვოკატი ი. ბ. მ. ფ.-ს და ნ. ბ.-ს შეხვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს მეორე სართულზე. ი. ფ. მიესალმა მოსარჩელეს და ასევე ნ. ბ.-ს. ნ. ბ. რაღაცის თქმას ცდილობდა და რადგან ადვოკატმა შეატყო, რომ ვითარება იძაბებოდა, მან მოუწოდა კლიენტს, რომ გასცლოდნენ ნ. ბ.-ს და არ ესაუბრათ მასთან, რაზეც ნ. ბ. სასტიკად გაბრაზდა და დაიწყო ყვირილი. მოწმეს არ ახსოვს ზუსტად რა სიტყვებით მიმართეს ადვოკატმა და ნ. ბ.-მ ერთმანეთს თუმცა დანამდვილებით ახსოვს, რომ ადვოკატის მხრიდან გინების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

5 დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

5.1 საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში ადვოკატ ი. ბ.-მ ნ. ბ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა გინების ფორმით, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს შემდეგი მუხლები: ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის პირველი პუნქტი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

5.2 საპროცესო კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის და მისი თანმხლები პირის მიმართ გინების ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება არ შეესაბამება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ

ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ასეთი ქცევა შესაძლოა ჩაითვალოს ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვის ფორმად და სხვისი უფლებების შელახვად. ადვოკატის ასეთმა ქცევამ შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს არამხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის რეპუტაცია და შეურაცხყოს პროფესიული ღირებულებები.

II სამოტივაციო ნაწილი

6 საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1 ი. ფ.-სა და მის მამიდას მ. ფ.-ს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოში უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა, რომელშიც ი. ფ.-ს ინტერესებს იცავდა ადვოკატი ი. ბ. ;

6.2 2017 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში სასამართლო პროცესის დაწყებამდე ადვოკატი ი. ბ. და ი. ფ. შეხვდნენ მ. ფ.-ს და ნ. ბ.-ს.

6.3 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში სადავო გარემოებაა 2017 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ნ. ბ.-სადმი სიტყვიერი შეურაცხყოფის გინების ფორმით მიყენების ფაქტი, რადგან მხარეებმა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია წარმოადგინეს:

6.3.1 საჩივრის ავტორის ნ. ბ.-ს პოზიციით 2017 წლის 23 ოქტომბერს დილის 10:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. ბ. შეხვდა მ. ფ.-ს ძმისშვილს ი. ფ.-ს, რომელსაც თან ახლდა მისი ადვოკატი ი. ბ.. ადვოკატი ი. ბ. უხეშად ჩაერია ნ. ბ.-ს და ი. ფ.-ს საუბარში და გაურკვეველი მიზეზის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნ. ბ.-ს. საჩივრის ავტორმა მოუწოდა ადვოკატს, რომ ასეთი საქციელი მას არ შეეფერებოდა, რაზეც ადვოკატმა ი. ბ.-მ უპასუხა - ,,წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან".

6.3.2 ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2017 წლის ბოლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში კლიენტთან ერთად შეხვდა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც თან ახლდა ნ. ბ.. სასამართლო პროცესის დაწყებამდე მხარეები შეკამათდნენ, თუმცა ადვოკატის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან გინების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ადვოკატი ესაუბრებოდა მ. ფ.-ს, რა დროსაც საუბარში ჩაერთო ნ. ბ., რაზეც ადვოკატმა მიმართა მას, რომ განსახილველი საკითხი მას არ ეხებოდა. ნ. ბ.-ს გაღიზიანება მისმა ფრაზამ გამოიწვია, რაზეც მან განაცხადა, რომ სასამართლოს კამერების ჩანაწერებს ამოიღებდა და შემდეგ რეაგირებისთვის სასამართლოს სტაჟიორს მიმართა.

6.3.3 განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს ასევე მხარეთა მიერ მოწმის სტატუსით წარმოდგენილმა პირებმა. მ. ფ.-მ დაადასტურა ნ. ბ.-ს პოზიცია, ხოლო ი. ფ.-მ უარყო ადვოკატის მიერ ნ. ბ.-სადმი გინების ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

6.3.4 ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უნდა დაადგინოს, მიაყენა, თუ არა გინების ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფა ი. ბ.-მ ნ. ბ.-ს, სწორედ გადანაწილებული მტკიცების ტვირთის და დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით.

6.3.5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარზე (მიმართვაზე) დისციპლინური საქმის წარმოება არის ინკვიზიციური ხასიათის.." (სუსგ #დს/შ10-13, თარიღი 16.10.2013)

6.3.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ გამომდინარე ინკვიზიციურობის პრინციპიდან და მისი აქტიური როლიდან, ის მტკიცების სტანდარტის შეფასებისას ეყრდნობა ადმინისტრაციულ საქმისა წარმოებაში არსებულ მტკიცების სტანდარტს. ეს ფაქტების მტკიცებულებებით დადასტურების უფრო მაღალ დამარწმუნებლობას ითხოვს, ვიდრე ეს სამოქალაქო საქმისწარმოებაშია მოთხოვნილი, სადაც მტკიცების ტვირთის მქონე მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების გადაჭარბება მეორე მხარის მტკიცებულებებზე საკმარისი საფუძველია სადაო ფაქტის დასადგენად. დისციპლინურ სამართალწარმოებაში უბრალო გადაჭარბება არ არის საკმარისი, გადაჭარბება უნდა იყოს არსებითი, განპირობებული მხარის მიერ წარმოდგენილი ან ეთიკის კომისიის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებების სარწმუნოებიდან და ურთიერთშესაბამისობიდან. თუმცა ეს სტანდარტი, არ არის იმ დონის, როგორც საქართველოს სისხლის სამართალში მიღებულ სტანდარტია - გონივრულ ეჭვს მიღმა.

6.3.7 მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს."

6.3.8 სამოქალაქო ურთიერთობებში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, იხ სუსგ #: ას-899-1185-09, თარიღი: 26/03/2010, რაც წარმოადგენს დამკვიდრებულ პრაქტიკას , იხ. ას-1252-1181-2012, თარიღი 11/03/2013, №: ას-23-23-2016 თარიღი 09/03/2016 და სხვა. შესაბამისად საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

6.3.9 მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან ნ. ბ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ი. ბ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, შესაბამისად საჩივრის ავტორს ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. ამ დროს საჩივრის ავტორმა დაამტკიცოს დისციპლინირების საქმის განხილვაში სარწმუნო და ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები. მას ამისთვის მიეცა სრული შესაძლებლობა, როგორც საპროცესო მოკვლევის, ასევე განხილვის ეტაპზე.

6.3.10 ადვოკატის ნათქვამს ნ. ბ.-ს მიმართ ,,წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან“ ქმედებაზე ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ სიტყვებით ,,წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან“ მიმართვას ადასტურებს თავად საჩივრის ავტორი და მოწმე მ. ფ.. თავად საჩივრის ავტორი არ გამოცხადდა 2018 წლის 02 ივლისს ჩატარებული განხილვის ზეპირ განხილვაზე. შედეგად კომისიას არ ჰქონდა შესაძლებლობა მისთვის დაესვა კითხვები. კითხვების დასმის საშუალება ვერც ადვოკატ ი. ბ.-ს მიეცა. ამ პირობებში საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო მოკვლევის ეტაპზე მიცემულ განმარტებას ვერ ექნება მაღალი მტკიცებულებითი ძალა. ზეპირი განხილვის სხდომაზე ვერც მოწმე მ. ფ.-ს დაკითხვა მოხერხდა.

6.3.11 აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ადვოკატ ი. ბ. გამოცხადდა განხილვის სხდომაზე, პასუხი გასცა კოლეგიის წევრთა კითხვებს, უარყო ზემოაღნიშნული ფრაზის წარმოთქმა, და ასევე წარმოადგინა მოწმე ი. ფ. თავისი პოზიციის დასადასტურებლად.

6.3.12 მოწმე ი. ფ.-ს ჩვენება მთლიანობაში არ არის წინააღმდეგობაში ადვოკატის ჩვენებასთან, ის ადასტურებს ნ. ბ.-ს და ი. ბ.-ს შეხვედრის ფაქტს. მართალია მას არ ახსოვს დეტალურად რა სიტყვებით მიმართა ი. ბ.-მ ნ. ბ.-ს, რაც კომისიას არ მიაჩნია საეჭვოდ, გავლილი პერიოდის, თითქმის 10 თვის გამო, თუმცა მოწმემ დამაჯერებლად უარყო, რომ ნ. ბ.-ს გინების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

6.3.13 ზემოაღნიშნული მტკიცებულებების არსებობის პირობებში და მოთხოვნილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, კომისია ვერ ადგენს ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ნ. ბ.-ს მისამართით ,,წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან“ ფრაზის თქმის ფაქტს 2017 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში.

7 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8 სამართლებრივი შეფასება

8.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ი. ბ.-მ დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული მუხლები:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5,,გ“ მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 9.1. მუხლი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

ამასთან ეთიკის კომისიამ აპეკის 9.1 მუხლზე იმსჯელა ამ მუხლის მე-4 ნაწილთან მიმართებით: *„ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან ...“*.

8.2 როგორც კანონის ასევე აპეკის მითითებული ნორმის შემადგენლობაა ადვოკატის მიერ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების შელახვა (კანონი) ან პროცესის მონაწილეების უპატივცემულოდ მოპყრობა (აპეკ), რაც თავისი არსით მსგავსია, თუმცა *აპეკი* უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, რადგან არამარტო უფლების შელახვას კრძალავს, არამედ ურთიერთობისას პატივისცემის გამოხატვას ითხოვს ადვოკატისგან.

8.3 კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ნ. ბ.-სადმი გინების ფორმით შეურაცხყოფის მიყენება, იხ.& 6.3.12, ამ პირობებში, კომისია ვერ ადგენს ადვოკატის მიერ ნ. ბ.-ს უფლებების შელახვას ან მის მიმართ უპატივცემლობას, შესაბამისად არ არის სახეზე ზემოაღნიშნული ნორმების ერთ-ერთი შემადგენლობა. რომ დადგენილიყო ადვოკატის მიერ ნ. ბ.-სადმი სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, ამ შემთხვევაში კომისიას მოუწევდა მსჯელობა, რამდენად წარმოადგენს პროცესის მხარის თანმხლები და პროცესზე დამსწრე პირი პროცესის მონაწილეს, რაც არ არის მარტივი სამართლებრივი საკითხი. ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ არ არსებობს ნორმის აუცილებელი შემადგენლობა, უპატივცემლობა ან უფლების შელახვა, კომიასიას არ მიაჩნია საჭიროდ იმსჯელოს ზემოაღნიშნულ საკითხზე.

8.4 საპროცესო მოკვლევის ეტაპზე, ადვოკატმა აღიარა, რომ მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგე მხარეს, მ. ფ.-ს იხ. & 3.2, თუმცა აღნიშნული ფაქტის შეფასება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, „საქმისწარმოების ინკვიზიციური ხასიათი ეთიკის კომისიას არ ანიჭებს უფლებამოსილებას შეცვალოს საჩივრის (მიმართვის) შინაარსი საჩივრის ავტორის თანხმობის გარეშე, ეთიკის კომისიის უფლება არ აქვს გასცდეს დისციპლინური ბრალდების ფარგლებს (ბრალდების ფაქტობრივ მხარეს ასევე კომსიიის სხდომაზე არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ადვოკატისთვის წაყენებულ დისციპლინურ ბრალდებას ანდა ადვოკატს დააკისროს პასუხისმგებლობა ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის, რომლის გამოც, დისციპლინური ბრალდება მისთვის არ წაუყენებიათ.“ (სუსგ #დს/შ10-13, თარიღი 16.10.2013), აღნიშნული პრეტენზია არ დაუყენებია არც საჩივრის ავტორს და არც მ. ფ.-ს მოუმართავს ეთიკის კომისიისთვის შესაბამისი პრეტენზიით. ამ პირობებში ეთიკის კომისია ვერ გაცდება დისციპლინური ბრალდების ფარგლებს და ვერ იმსჯელებს ადვოკატის ისეთ ქმედებაზე, რომელიც დამოუკიდებლად შეიძლება წარმოადგენდეს პროფესიული ვალდებულების დარღვევას.

8.5 ეთიკის კომისია ამავდროულად გაკვირვებულია ადვოკატ ი. ბ.-ს განცხადებით, რომელიც მან საპროცესო მოკვლევის ეტაპზე გააკეთა, რომ „თუნდაც ნ. ბ. მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ყოფილიყო, ეთიკის კომისია მაინც არ იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა საჩივარი, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება შესაძლოა იყოს ადვოკატის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რათა წყობილებიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგე მხარე და ამით მიიღოს კლიენტისთვის სასურველი შედეგი“ იხ. *&3.3.* ი. ბ. წარმოადგენს მნიშვნელოვანი სტაჟის მქონე ადვოკატს და მისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ პროფესიული ეთიკის ნორმების

დარღვევის გამართლება ვერ იქნება ადვოკატის რაიმე სახის სტრატეგია ან მოქმედება თუნდაც კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით. ადვოკატი მოქმედებს კლიენტის ინტერესების გამომდინარე, როგორც ამაზე აპეკ-ის მე-5 მუხლი მიუთითებს, თუმცა იმავე მუხლში გაკეთებულია დათქმა, რომ ადვოკატის კლიენტის ინტერესების დასაცავად მოქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან. შესაბამისად, თუ ადვოკატი შეურაცხყოფას მიაყენებს, უპატივცემულოდ მოექცევა ან სხვანაირად შელახავს პროცესის მხარის უფლებას, ის დაექვემდებარება დისციპლინირებას, რასთან დაკავშირებით არსებობს ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკა დადასტურებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. ადვოკატის მხოლოდ მსგავსი განცხადება ეთიკის კომისიის წინაშე ვერ გახდება ადვოკატზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, თუმცა ეთიკის კომისიამ საჭიროდ ჩათვალა აღნიშნული განმარტება გაეკეთებინა.

8.6 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N089/17 ადვოკატ ი. ბ.-ს /სიითი N..../ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს და გამოქვეყნდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/